

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 მაისი, ოთხშაბათი, 1988 წ. № 101 (9768) • მხარე 3 პაგ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

გამომცემლობა წერილი: „ფიზკულტურა მისაღებ გამოცემაზე“

# რა პინტურებსა აბიტურიენტებს?

**გუშინ** ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებმა მისაღები გამოცდების დაწყების წინ უნდა გაიარონ შემოწმება ფიზიკურ მომზადებაში და მიიღონ ჩათვლა. გუშინ რედაქციაში დილიდანვე განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი. ჩვენმა თანამშრომელმა ეურნალში აღწერა 93 ზარი და შეკითხვა. აქედან მხოლოდ ორი აბიტურიენტის მშობელმა განაცხადა, რომ არ იყო საჭირო ასეთი გადაწყვეტილების მიღება, დანარჩენები იწონებენ ამ სიახლის დანერგვას და გვთხოვენ პასუხი გავცეთ ზოგიერთ კითხვაზე. ვფიქრობთ, პასუხები სხვებსაც დაინტერესებს და ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მათი ნაწილის გამოქვეყნება (აქვე ვიტყვი, რომ ბევრი შეკითხვა ერთნაირი იყო).

● **სამედიცინო ცნობის აღება ზედმეტ დროს მოითხოვს, არ შეიძლება ცნობის გარეშე გამოცხადება ჩათვლაზე?**

— არა, არ შეიძლება. პასპორტთან ერთად ჩათვლაზე წარადგინოთ იმ სამედიცინო ცნობას, რომელიც აღებული გქვინება ინსტიტუტში შესატანი საბუთებისთვის. ცნობას და პასპორტს იქვე, იმავე დღეს დაიბრუნებთ.

● **ვინ არჩევს სამ ნორმატივს ხუთიდან, მიმღები კომისია თუ ჩვენ, აბიტურიენტები?**

— ნორმატივებს თქვენ, აბიტურიენტები შეარჩევთ.

● **ვინ ჩავაბარებთ ჩათვლას?**

— მხოლოდ შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის მიმღებ კომისიას.

● **ჩათვლის ბარათებს ჩვენ ვებეჭდავთ თუ ადგილზე მოგვცემენ?**

— ჩათვლის ბარათებს მიმღები კომისია გასცემს ადგილზე.

● **თუ ჩათვლა ჩავაბარეთ უნივერსიტეტის მიმღებ კომისიას, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტეთ საბუთები შევიტანოთ სხვა ინსტიტუტში, ხელახლა ჩავაბარებთ ჩათვლას?**

— არა, ხელახლა ჩათვლა საჭირო აღარ იქნება.

● **სპორტის ოსტატმა რა საბუთი უნდა წარადგინოს, რომ ფიზკულტურაში ჩათვლა აღარ ჩააბაროს?**

— სპორტის ოსტატობის მინიჭების მოწმობა.

● **საღამოს და დაუსრულებელი სწავლების აბიტურიენტები თუ აბარებენ ჩათვლას ფიზკულტურაში?**

— არა, ჩათვლები მხოლოდ დღის დასრულებული სწავლების მსურველებს ეხებათ.

**რედაქციისაგან:** არის სხვა შეკითხვებიც, რომლებზეც პასუხს საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან და საქართველოს სპორტსაქომათაშორის შეთანხმების შემდეგ გამოვაქვეყნებთ (თუ რაიმე გაქვთ შეკითხვა, დაგვირეკეთ. ჩვენი ტელეფონია: 99-56-14).



**გასულ** კვირას ჩვენს რესპუბლიკაში ქართული ჭიდაობის დღე აღინიშნა. არ შეიძლება ითქვას, რომ მისი ექო საქართველოს ყველა კუთხე-კუთხულის მისწვდა, მაგრამ ბევრ რეგიონში ზეიმს ენთუზიზმით შეხვდნენ.

ხალხმრავლობა იყო რესპუბლიკის დედაქალაქში, რიყეზე, სადაც თბილისის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობით ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა ჩატარდა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები ყველა წონით კატეგორიაში. გათამაშდა აგრეთვე ქართული ჭიდაობის ენთუზიასტი მსახის ილია ტლაშაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პრიზი.

უამრავი მოკიდავე და გულშემოტიკივარი შეიკრიბა სოფელ გლდანშიც, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში არ შეწყვეტილა საქმიანობა ხმა და ფლავანთა შერკინებები.

საქართველოს-სპორტსაქომათაშორის სამმართველომ ქართული ჭიდაობის ზეიმის ხელშეწყობის მიზნით ემისრები მიაგონა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათი აზრით, უაღრესად საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრებები თელავში. თელაველებს არც კასკელები და ქუთაისელები ჩამორჩნენ. 300 ფლავანი მონაწილეობდა ვანში გამართულ ზეიმშიც. ქართული ჭიდაობის დღე აღინიშნა საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

## გამარჯვებული

**სხსინარულ** ცნობა მოვიდა ლენინგრადიდან. 20 წლამდე ასაკის ძიუდოსტა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა ათლეტებმა რეიან შეიღი პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებულთა შორის სამი ძიუდოსტი ჩვენი რესპუბლიკიდანაა. ესენია: სოსხუმელი მაქარ თვალაძე (71 კგ), ქუთაისელი დავით ხახალიაშვილი (მძიმე) და

თბილისელი ვალერი მარუნიანი (აბსოლუტური) პირველ კლასში. **გაგონენ** აგრეთვე: 60 კგ-ში — ელენ ისმაროვი, 65 კგ-ში — ტარლანი პალაძე, 78 კგ-ში — მარს ჯეოჯანიანი (სამივე — ბაქო), 86 კგ-ში — მურად კახანიანი (მახაჩყალა) და 95 კგ-ში — ფაბრი გენე (საფრანგეთი).

## საზონი ნარკატებით დაინყუს

**კიზინოვში** დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსნთა ტრადიციული მატჩი. მართალია გუნდურ პირველობაში ჩვენმა სპორტსმენებმა მე-2 ადგილი დაიკავეს (მასპინძელთა შემდეგ), მაგრამ რამდენიმე ცალკეულ სახეობებში შესანიშნავი შედეგი აჩვენა. მათა აზარაშვილმა (მწვრთნელი ევგენი გაგუა), რომელიც ახლა 400-მეტრიან დისტანციას ითვისებს, ამ მანძილზე საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 51,2. მანვე ასევე ძალზე სწრაფად გაიარა ორჯერ მოკლე დისტანცია — 22,6. ბირთვის კვრავი პირველად შე-

ასრულა საერთაშორისო კლას-სპორტის ოსტატის ნორმატივი სოსხუმელმა ტარიელ ბიწამეშ (მწვრთნელი თამაზ ჭეილა) — 20,94. ესეც საქართველოს ახალი რეკორდია. გელა ვეშაბიძემ (მწვრთნელი სერგო ქავთარაძე და ევგენი საპრონოვი) 110 მეტრზე თარჯბენში 13,8 აჩვენა, ბესიკ გოცირიძემ (ე. გაგუა) 200 მეტრიან დისტანციაზე — 20,9. ყველა ამ მძლეოსანმა პირველი ადგილები დაიკავა. დაწვრილებით ცნობებს ამ შეჯიბრების შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

## შეხვედრა პროფსაბჭოში

რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების 10 წარმომადგენელი ემზადება ხელის ოლიმპიური თამაშებისთვის. გუშინ საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელობამ შეხვედრაზე მიიწვია ის სპორტსმენები, რომლებიც ამჟამად თბილისში იმყოფებიან. სპორტსმენთა მიღწევებზე და მათ მომავალ ამოცანებზე ისაუბრა პროფკავშირთა სპორტ-საზოგადოების თავმჯდომარე ვ. შუბლაძემ. შემდეგ მიწვეულთ ესაუბრა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. სირაძემ. იგი დაინტერესდა სპორტსმენთა წვრთნის, სწავლისა და ოჯახური საკითხებით, უსურვა ახალი წარმატებები.

შეხვედრაზე მიწვეულნი იყვნენ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატები გიორგი ჩოგვაძე, ზრისტინა ფალასანიძე, ვლადიმერ გოგოლაძე, კობა კურტანიძე და მათი მწვრთნელები.



გასულ კვირას პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭომ დედაქალაქის მუშა-მოსამსახურეთათვის ჩაატარა მასობრივი ტურისტული ლაშქრობა-შეჯიბრა. მონაწილეებმა ბაგირის გადაძაღვაშიც მონაწილეობა მიიღეს (აღეჭანდრე კოტორაშვილის ფოტო).

## სუსტი სტარტის მიუხედავად

**შვეიციაში** ქალაქ პენინგში გაიმართა დიდი საერთაშორისო საქალაქო ტურნირი, რომელსაც ფილეს მალაი, მეცამეტე კატეგორია მიენიჭა. როგორც შეედი მიმომხილველები მიიჩნევენ, ასეთი ძლიერი შემადგენლობის საქალაქო შეჯიბრება ამ ქვეყანაში არასოდეს ჩატარებულა. თუმცა მკითხველს თვით შეუძლია იმსჯელოს მისი სიძლიერის მიხედვით: ბრძოლაში ჩაება 10 დიდოსტატი: მსოფლიო ჩემპიონი მათა ჩიბურდანიძე, პოლუგავესკი (ორივე — საბჭოთა კავშირი), ანდრესონი, კარლსონი (ორივე — შვეიცია), კორნო (შვეიცარია), პინტერი (უნგრეთი), ჩანდლერი (ინგლისი), ბარლოვი (იუგოსლავია), სოსოკო (პოლონია), ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჰაბუტა შორის ავღესტინი (ნორვეგია), უძლიერესი შვედი საერთაშორისო ოსტატი შლიუსერი და ვედბერგი, რომლებიც დიდოსტატის ნორმის შესასრულებლად იბრძოდნენ.


ორივე საბჭოთა მოქალაქემ ტურნირი ძალზე მარცხიანად დაიწყო. საქმარისა აღინიშნოს, რომ პოლუგავესკი პირველ ტურში ანდრესონთან ყიბის შემდეგ მეორეში დამარცხდა ავღესტინთან. მესამეში ისევე ყიბის დასაჯერდა სოსონკოსთან და ამრიგად 3 ტური შემდეგ მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა კიდევ უფრო სუსტი აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონის სტარტი. პირველ სამ ტურში მან სამივე პარტია წააგო (ავღესტინთან, სოსონკოსა და კარლსონთან). თითქოს ასეთი შედეგების შემდეგ რაიმე სატურნირო წარმატებაზე ლაპარაკი კი აღარ შეიძლებოდა, მაგრამ... პოლუგავესკიმ მომდევნო 8 ტურში 7 ქულა მოაგროვა, სძლია პირველი ადგილის პრეტენდენტებს პინტერსა და კორნოსს. საბოლოოდ მოსკოველი დიდოსტატი 8 ქულაზე პირველ ადგილზე გამოვიდა, რაც მის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მათა ჩიბურდანიძემ სტარტის შემდეგ დიდი სპორტული სიმტკიცე გვიჩვენა. მეოთხე ტურიდან მოყოლებული იგი პირდაპირ ბრწყინვალედ თამაშობდა და 8 პარტიაში 5,5 ქულა მოაგროვა. საბოლოოდ მან შეეძლო ადგილი დაეკავა, რაც ცხადია, ასეთი შემადგენლობის ტურნირში ურიგო შედეგი არ არის.

## საკალათბურთო ფესტივალი თბილისში

ჩვენს ყოფას, კულტურას, ისტორიულ ძეგლებს, შეიძინოს რაც შეიძლება მეტი მეგობარი და შინ ცოდნით აღჭურვილი დაბრუნდნენ. ამის შესაძლებლობას იძლევა მასპინძლების მიერ შედგენილი ფართო და მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა. გუშინ მათ ძველი ქალაქი დაათვალიერეს და საქართველოს ისტორიის მუზეუმსაც ეწვივნენ. მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, შთაბეჭდილება ჭარბად მიიღეს. დღეს, ხვალ და ზევ უფრო მეტს ნახავენ, გაიგებენ და დარწმუნებული ვართ, 28 მაისს, ფესტივალის ბოლო დღეს, ქართულ კულტურასთან ერთგვარად წილნაყარი იქნებიან.

90:60, დასავლეთ ბერლინის უნივერსიტეტი — ჩეხოსლოვაკიის სტუდენტთა გუნდი 76:75.

24 მაისი. თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი — დასავლეთ ბერლინის უნივერსიტეტი — 75:71, სოსხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — სოფიის ფიზკულტურის ინსტიტუტი 82:79, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — თბილისის უნივერსიტეტი 99:91, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — ვარშავის ფიზკულტურის ინსტიტუტი 91:61.



კიროვის სახელობის პარკის საკალათბურთო მოედნებზე კი ამასობაში ცხარე ბრძოლები სწარმოებს. ოთხ ჯგუფად დაყოფილმა სტუდენტებმა და მასპინძლებმა პირველი კალენდარული შეხვედრები ჩატარეს. გთავაზობთ ამ შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს:

3 მაისი. სოფიის უნივერსიტეტი — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 66:93, ბელგარის უნივერსიტეტი — ვარშავის ფიზკულტურის ინსტიტუტი 118:29, კუნანის ფიზკულტურის ინსტიტუტი — სოფიის ფიზკულტურის ინსტიტუტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



**ღამარცხება**, ცხადია, არავის სურს და თბილისში სტუმრად ჩამოსული უცხოელი სტუდენტები საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილ საკალათბურთო ფესტივალის ყოველ კალენდარულ მატჩს მონაწილეობითა და თავგანწირვით ატარებენ. მაგრამ ისინი, ამავე დროს, ცნობის მოყვარენიც არიან და რახან საქართველოში ჩამოსვლის საშუალება მიეცათ, უნდათ ყველაფერი ნახონ, გაეცნონ

**სურათებზე:** სპი — ვარშავის ფიზკულტურის ინსტიტუტის (შვეიცია), სოსხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისა და სოფიის ფიზკულტურის ინსტიტუტის (ქვევით) სტუდენტთა გუნდების შეხვედრის მომენტები.





### საპროტა კავშირის ჩამოშორება ფეხბურთში

საპროტა კავშირის 51-მ საფეხბურთო ჩამოშორების XI ტურის სტატისტიკა მონაცემებით.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი) 2:0 (1:0). შავი ზღვის სანაოსნოს ცენტრალური სტადიონი. 22 მაისი.

„ჩერნომორეცი“: გრიშკო, კუჩუნიანი, პრაციუცი, იშჩაკი, პოსტოლნიკო, ტრეტიაკი, ნიკოფოროვი, იმრეკოვი, გუშჩინი (სეკინაივი, 86), გუსევი (ზირენკო, 89), პერეპაღენკო.

„დინამო“: ქანტურია, თეთრაძე, თეგუაძე, აფციუაური, არზიანი, ტყეშელაშვილი (გუგუნი 54), ცვეთა, სულაქველიძე (ცხადაძე, 73), ქეცბაია, კორაღლიძე, შენგელია.

გოლები: პრაციუცი (16), კუჩუნიანი (57). გაფრთხილებს აფციუაური და ნიკოფოროვი.

შსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი). დუბლიორები — 1:0.

„დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ 1:0 (1:0). ერთადერთი ბურთი მე-3 წუთზე გაიტანა ლიტოვიჩი.

გაფრთხილებს ლოკომოტიველი სოლოვიოვი. დუბლიორები — 0:0.

„დნეპრი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0 (1:0). გოლები: შახოვი (2). გაფრთხილებს დინამოელი ვასილიევი.

„დნეპრი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:1 (1:0). ბურთები გაიტანეს სპარტაკელმა შალიმოვმა და ერევენელმა სუქიასიანმა.

გაფრთხილებს „სპარტაკის“ ფეხბურთელი პასუკო. დუბლიორები — 4:1.

„კაირატი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:2 (0:1). სტუმართაგან ბურთები გაიტანეს გოცმანოვმა და კონდრატიევმა, ხოლო „კაირატის“ მხრივ — მასულოვმა.

გაფრთხილებს ტიმოფევი და კარაჩუნი („კაირატი“).

მატი იმსახა თბილისელ არბიტრთა ბრიგადამ: ვ. მიმინოვილი, მ. ქელიძე, თ. ლაცაბიძე. დუბლიორები — 3:0.

„მეტალისტი“ — „ზენიტი“ 1:1 (1:0). პირველი ბურთი ხარკოველმა ტარასოვმა გაიტანა, ხოლო საპასუხო — სტეპანოვმა.

### სსრ კავშირის თასზე



სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1988-89 წლების გათამაშებაში განვლილია ოცდამეორე ტურის მატჩები. მატჩების შედეგად უმაღლესი ლიგის გუნდები თასის გათამაშების ამ სტადიაზე მატჩები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, ამასთან, უმაღლესი ლიგის გუნდები პირველად საკუთარ მიწებზე მიიღებენ მტრებს.

ამრიგად, 4-5 ივნისს ითამაშებენ: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ნივა“ (ტერნოპოლი), „დინამო“ (მოსკოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი), „არარატი“ (ერევანი) — ასკ „კარაბატი“ (ლევი), „დინამო“ (თბილისი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუბინსკი), „ნეფთიჩი“ (ბაქო) — „სისრუ“ (სმოლენსკი), „დინამო“ (მინსკი) — „დრუბუა“ (მაიკოპი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „კუზნეცი“ (კემროვო), „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „მელიორატორი“ (ჭილი-არდა), „შახტიორი“ (დონეცი) — „დინამო“ (ბარნაული), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტრაქტორი“ (პავლოდარი), „ქალგირისი“ (ვილიუსი) — „შეგარდენისი“ (თბილისი), „დინამო“ (კიევი) — „გურია“ (ლანჩხუთი), „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ირტიში“ (ომსკი), ოდესის „ჩერნომორეცი“ შეხვდება ქუთაისის „ტორპედოს“.

მეტექსტეფინალის საპასუხო მატჩები 20 ივნისს გაიმართება.

|               |    |   |   |   |       |    |
|---------------|----|---|---|---|-------|----|
| „დინამო“ კ.   | 11 | 7 | 2 | 2 | 20-11 | 16 |
| „სპარტაკი“    | 10 | 7 | 1 | 2 | 22-9  | 15 |
| „ჩერნომორეცი“ | 11 | 6 | 3 | 2 | 11-5  | 15 |
| „ქალგირისი“   | 11 | 6 | 2 | 3 | 26-9  | 14 |
| „ლოკომოტივი“  | 10 | 6 | 2 | 2 | 19-5  | 14 |
| „დინამო“ მ.   | 10 | 6 | 2 | 2 | 16-8  | 14 |
| „ტორპედო“     | 11 | 6 | 1 | 4 | 16-14 | 13 |
| „დინამო“ თბ.  | 11 | 5 | 3 | 3 | 13-13 | 13 |
| „ზენიტი“      | 11 | 5 | 1 | 5 | 11-14 | 11 |
| „მეტალისტი“   | 11 | 3 | 3 | 5 | 13-13 | 9  |
| „კაირატი“     | 12 | 3 | 2 | 7 | 10-22 | 8  |
| „დნეპრი“      | 11 | 3 | 1 | 7 | 10-19 | 7  |
| „შახტიორი“    | 11 | 2 | 3 | 7 | 12-24 | 7  |
| „არარატი“     | 8  | 1 | 3 | 4 | 9-18  | 5  |
| „დინამო“ შფ.  | 10 | 2 | 0 | 8 | 5-13  | 4  |
| „ნეფთიჩი“     | 9  | 1 | 2 | 6 | 1-12  | 4  |


23 მაისს ქუთაისის „ტორპედომ“ სსრ კავშირის თასის ოცდამეორე ტურის მატჩში უფის „გასტელოს“ უმასპინძლა. თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედამთავრდა — 1:1. (ქუთაისელთაგან ბურთი კიკლაშვილმა გაიტანა). დამატებითი 11-მეტრიანების სერიით გაიმარჯვეს ქუთაისელებმა ფეხბურთელებმა (6:5).

ფედერაციამ ქუთაისის სპორტკომიტეტის თხოვნით იგი ამ გუნდში მიაკვლინა. ახლა ამავე საკითხზე კვლავ იმსახვება ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ. უგრძობესი განუმარტეს ამოცანა და დაბეჯითებით სთხოვეს წელსაც ეთამაშა „ტორპედოში“.

ამასთან კომისიამ მოისმინა ფეხბურთელის ახსნა-განმარტება, რომ იგი სწავლობს თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასწრეული სწავლების IV კურსზე, ოჯახი მისი კმაყოფილება, ჰყავს ინვალიდი დედა და სტუდენტი და. ამას გარდა, იგი სამხედრო სავალდებულო სამსახურს გადის ინსტიტუტის სამხედრო კათედრაზე. სპორტტექნიკურმა კომისიამ, გაითვალისწინა რა აღნიშნული მიზეზები, უგრძობის გულწრფელად, მისი სწორი დამოკიდებულება საკითხისადმი, კვლავ ნება დართო მას ითამაშოს „შეგარდენის“-სპის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში.

საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას.

21 და 22 მაისს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის: ვთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს: „მალაროელი“ (კიათურა) — „სალნიო“ (გეგუკორი) 2:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სამეგრელო“ (ხობოწყუ) 1:0, „ივერია“ (ხაშუტი) — „მეშახტი“ (ტყიბული) 2:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „არაზნი“ (მცხეთა) 2:1, „სამარელო“ (თერჯოლი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 3:1, „ბახტრი-



საზრანგაშის პრესამ ფეხბურთის სილამაზის დემონსტრაცია უწოდა გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელის მიშელ პლატინის გამოსათვარ მატჩს, რომლის საზეიმო ცერემონიალიც ქალაქ ნანსიში შედგა. გამოჩენილი ფეხბურთელის ინიციატივით მინდორზე გამოვიდნენ საფრანგეთის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში თვით პლატინი თამაშობდა და მასთან ერთად ის ფეხბურთელებიც, რომლებმაც 1984 წლის ევროპის ჩემპიონატი ოქროს მედლები მოიპოვეს, და მსოფლიოს ცნობილი ოსტატთა ნაკრები.

33 წლის მიშელ პლატინიმ შარშანდღა დატოვა საფეხბურთო მინდორი და მას შემდეგ აქტიური ბრძოლას ეწყვედა ნაკრების წინააღმდეგ, ამ მატჩის შემოსავალზე, დაახლოებით 2,5 მილიონი ფრანკი, გადაეცა ნაკრების წინააღმდეგ ბრძოლის ფონდს. მსოფლიო ნაკრების წევ-



„გენფიას“ 27-ჯერ იყო პორტუგალიის ჩემპიონი, 19-ჯერ გაიმარჯვა თასის გათამაშებაში, 1961 და 1962 წლებში ფლობდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს, ხოლო 1963, 1965 და 1968 წლებში ამ გათამაშების ფინალში გავიდა. „გენფიას“ ყველაზე უფრო გამოჩენილ მოთამაშეებად ითვლებოდნენ ეუსებო, კოლუსა, აუგუსტო, ეპრანო, სიმოეტი, ნენე. გუნდს სხვადასხვა წლებში წვრილიდნენ განთქმული სპეციალისტები ბელა გუტმანი (უნგრეთი), ოტო გლორია (ბრაზილია), ფერნანდო რიერა (ჩილი), ლიონო ბაროტი (უნგრეთი) და სხვები.

ამჟამად „გენფიას“ წვრთნის ოლივიერა. ფინალამდე პორტუგალიელებმა სლოვის ტირანის „პარტიზანს“ (ალბანეთი) — 4:0, (მეორე მატჩში მოგება ჩაეთვალათ), დანიის „ობსლუსს“ — 0:0, 1:0, ბრიუსელის „ანდერლექტს“ (ბელგია) — 2:0, 0:1, ბუქარესტის „სტიუსას“ — 0:0, 2:0.

პორტუგალიის ჩემპიონის ძირითადი შემადგენლობა ასეთია: სილინო, ველოზო, დიტო, ალვარო, მოზერი, ელცო, დიამანტინო, პაჩეკო, შალანა, რუი აგუასი. მაგნუსონი. ელცო ბრაზილიის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველია, მაგნუსონი — შვეიცის ნაკრების თავდასხმელი. შალანა, რომელიც ადრე პორტუგალიის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო, შემდეგ ძალზე უიღბლოდ (ტრაუმების გამო) ბორდოს „ევირონდში“ თამაშობდა.

„სპეციალისტი“ წლეულს მეთაურ გახდა პოლანდის ჩემპიონი, პოლუარბობით იგი ამ ქვეყნის ცნობილი კლუბებს ამსტერდამის „აი-აქსას“ და როტერდამის „ფეიენოორდს“ ჩამოუყარებდა, მაგრამ წლე-

ინი“ (ახმეტა) — „მეტალისტი“ (ხესტინგენი), „სპორტილი“ (ვანო) — „შალგენაში“ (ქალაქი), „დინამო“ (სტრევილი), „არაზნი“ (მცხეთა) 1:0, „მეშახტი“ (ბოლნისი) — „კოლოსი“ (თბილი) 2:1, ფიჭულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (გაგრა) 2:2, „ქუთაისი“ (წალენჯიხა) — „ეგროსი“ (ცხაქია) 2:0.

### მიშელ პლატინის გამოსათვარ მატჩი

რებს მაისურებზე ეკეთათ მ. პლატინის მიერ ორგანიზებული საზოგადოების ემბლემა. საინტერესოა, რომ „პლატინის ფონდის“ მეშვეობით უკვე 155 ახალგაზრდა ადამიანმა თავი დააღწია ნარკომანიის მაგნი ჩვევას.

ნანსის სტადიონზე 35 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, თვით თამაშიც საინტერესო, მაღალი ტექნიკური ოსტატობით აღინიშნა. მსოფლიო ფეხბურთის გამოჩენილ ვარსკვლავებთან მარადონასთან, პეფთან, სანჩესთან, ბონეკთან და სხვებთან ერთად გამოვიდნენ საბჭოთა ფეხბურთელებიც — დასაყვი, ზეაროვი და ბელანოვი.

მატი ფრედამთავრდა — 2:2. ფრანგების მხრივ ბურთები გაიტანეს ბლონემ (52 წ.), და პავენამ (62), ხოლო მსოფლიოს ნაკრებიდან — დასაყვეთგარანელმა მატეუსმა (15) და ურუგვაელმა ფრანჩესკოლიმ (85).

### ევროპის ქვეყნების ჩამოშორება თასზე

### „გენფია“ — „ინდოპოვენი“

უღს მან განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვა: საკმარისია აღინიშნოს, რომ ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის 17 მატჩში „სპეციალისტებს“... 17 გამარჯვება მოიპოვა. ასეთი შედეგი უჩვეულოა ისეთი საფეხბურთო ქვეყნისთვის, როგორც პოლანდია.

„სპეციალისტებს“ ჩემპიონთა თასის ფინალამდე სარბიელი დაატოვებინა სტამბოლის „გალათასარას“ (თურქეთი) — 3:0, 0:2, ვენის „რაპიდს“ (ავსტრია), ბორდოს „ევირონდს“ (საფრანგეთი) — 1:1, 0:0, და, რაც მთავარია მდრიდის „რეალს“ (ესპანეთი) — 1:1, 0:0, რომელიც ამ ტურნირის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა.

„ინდოპოვენი“ ამჟამად ხელმძღვანელობს გუს ჰედლი. გუნდის შემადგენლობა ასეთია: ვან ბროიკენი, გერესი, ჰინცი (ვან დე კერკოფი), კოემანი, ნილსენი, ლერნი, ვან აერლ (გილპუსი), ლინსკენი, ვანენბურგი, კიტტი, არნესენი (იანსენი). გუნდის შემადგენლობა ამჟამად მტრად ძლიერია. ვან ბროიკენი პოლანდის ნაკრების ძირითადი მკვარეა, აქვე გამოდის მცველი კოემანი, შუა ხაზის მოთამაშეები ვან აერლე, გილპუსი, ვანენბურგი, კიტტი, ადრე ნაკრებიც მეთაურობს, რომელიც ახლა 36 წლისაა, მაგრამ გუნდისთვის კვლავ მოაქვს სარგებლობა. „ინდოპოვენი“ ბევრი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს. აქ გამოდის დანიელი ლუბი არნესენი, ნილსენი, ჰინცი და ბელგის ნაკრების ცნობილი მცველი გერესი.

30 ივნისი.

### ჭორობა თუ ვარტალობა? ფეხბურთელის ინტერესების პათვალისინებით

ფეხბურთი და ფეხბურთელი მუდამ საერთო ყურადღების ცენტრშია და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ არცთუ იშვიათად ამა თუ იმ სპორტსმენის მიმართ გულშემატკვრები და სპეციალისტების განსაკუთრებულ ინტერესს იტყენ. ასეთი ფეხბურთელი შეიძლება თამაშობდეს ჰაბუთა გუნდებში თუ საქართველოს პირველობაზე ან ქვეყნის პირველობის რომელიმე ლიგაში. ინფორმაციის დაგვიანება კი იწვევს მითქმა-მოთქმას, ძაბავს ვითარებას. ზოგჯერ ერთსა და იმავე ფეხბურთელზე დავა აქვს რამდენიმე გუნდს. ამერიკიდან ჩვენი გაზვით შევიცდებოდა ყველა ანალოგიურ სიტუაციაში დროულად შეიტანოს საკითხში სიცხადე და ზუსტი ინფორმაცია.

### დარბა 3 კანდიდატი

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში იტალიაში გაიმართება. შემდგომში, 1994 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე კი რამდენიმე ქვეყანა აცხადებდა პრეტენზიას. ტრადიციის შესაბამისად მსოფლიო ჩემპიონატები მონაცვლეობით ტარდება ევროპაში და ამერიკაში, მაგრამ გათამაშების მასპინძლობის პრეტენზია ახლა აფრიკასაც აქვს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ სადღესოდ 3 კანდიდატი შეარჩია: ბრაზილია, ამერიკის შეერთებული შტატები და მაროკო.

მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის საკითხს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია წლეულს იელსში გადაწყვეტს.

### ინგლისში სეზონის საუკეთესო მწვრთნელად

„ლივერპლის“ მწვრთნელი კენი დალგლიში დასახელეს, რომლის გუნდმაც ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს მეჩვიდმეტედ გაიმარჯვა.

### ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მიზეზი ფინანსური სიძნელეებია.

### პოლონეთის ნაკრების ყოფილი

თავდამსხმელი ვლოდიმერ სმოლიარევი, რომელიც ამჟამად ფრანკფურტის „აინტრაქტი“ თამაშობს, მომავალი წლიდან როტერდამის „ფეიენოორდში“ გამოვა. ეს განცხადება პოლონეთის ახალმა მწვრთნელმა ჰანს კრაიმ. მან მიანიხი, რომ სმოლიარევი წარმატებით შე-

### ცვლის როტერდამელთა ახლანდელი

ლიდერს ბეგის.

### გრიტანულ ფეხბურთში

ერთი ტრადიციული დარღვევა მომავალი წლიდან „ქოვენთონის“ სათავეში ჩაუდგება პირველი ზანგი მწვრთნელი, ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 30 წლის სირილ რეჯისი.

### 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის

საუკეთესო ფეხბურთელი პაოლო როსი ამტკუროს სპორტის თავი დაანება, მაგრამ ფეხბურთიდან არ წასულა. იგი „ნაპოლის“ მენეჯერი ვანდა, რომელსაც სპონსორებთან ურთიერთობა ევალებოდა.

### საზრანგაშის „ნანტი“

მოთამაშე არგენტინელი მსოფლიო ჩემპიონი ხორხე ბურჩაგა ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე-



მეჯერ მამედ დამადა. ახლა მან მუხლის ოპერაცია უნდა გაკეთოს და როგორც ჩანს, რამდენიმე თვეს მოედანზე ვერ გამოვა.

ინგლისის ჩემპიონატის შარშანდელმა ბომბარდირმა კლაივ ალენმა ვერ აქნა და ვერ აღადგინა ჩვეული სპორტული ფორმა. მიუხედავად ამისა „ტოტენჰემიდან“ მისი გადაბრუნება სურთ იტალიის რამდენიმე კლუბს და საფრანგეთის „ბორდოს“.

### დიეგო, ჰუგო და რაულ მარადონა ერთ გუნდში!

ეს უკვე მეორე შემთხვევა იქნება, როცა დიეგო მარადონა თავის მძებთან ერთად ერთ კლუბში ითამაშებს. პირველად მძებმა ესპანეთის „გარანას“ მისურები ჩაიკვეს და შვეიცის „მალპიოს“ წინააღმდეგ გამოვიდნენ. მეორედ კი მძებმა არგენტინის ნაკრების ლიგისა და დიეგოს ცენტრალური ატაკის „ვარსკვლავთაგან“ შემდგომი გუნდის წინააღმდეგ. ეს შეხვედრა ჰავანაში გაიმართება.

მან შეამჯავ, რაც ესპანეთის „ვალენსია“ შინ „სარაგოსასთან“ დამარცხდა, კლუბის ხელმძღვანელებმა მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს ალფრედო დი სტეფანო. (სპა. ინფ.)

პირველი ეტაპის შედეგები

დამთავრდა კალათბურთულ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის I ეტაპი — ჩვეულებრივი ტურნირები. გამოვლინდა ფინალისტთა ორი ექვსეული. პირველი ექვსეულის მონაწილენი გააგრძელებენ ბრძოლას საპროზოდ ადგილებისთვის, მეორე ექვსეული კი გაითავისებს ადგილებს შემეხილვად — მეთორმეტე დღე.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სინათლე' and 'დინამო'.

ჩაბუთა ტურნირზე

მონაწილე კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პარალელურად დამთავრდა ჩაბუთა ტურნირის პირველი ეტაპიც. აქ სატურნირო ცხრილებში ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'დინამო' and 'ბათუმი'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სოხუმი' and 'მართვი'.

შენიშვნა: თელავის გუნდს 10 შეხვედრაში გამოუცხადებლობის გამო ქულები არ დაერიცხა, ამიტომ მას ოცის ნაცვლად 10 ქულა აქვს (ეს გუნდი მოიხსნა შეჯიბრებიდან).

როგორც ხედავთ, პირველ ექვსეულში მოხვდა თბილისის ოთხი გუნდი — უნივერსიტეტი, „სინათლე“, პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი, აგრეთვე, ქუთაისისა და სოხუმის კოლეჯები. ისინი უკვე დაგროველი ქულებით გააგრძელებენ ბრძოლას I-VI ადგილებისთვის.

მეორე ექვსეულში (VII-XII ადგილები) ითამაშებენ ბათუმის, „მართვი“, რუსთავის, გორისა და „დინამოს“ წარმომადგენლები. თელავის გუნდი, როგორც უკვე ვთქვით, შეჯიბრებიდან მოიხსნა.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'მართვი' and 'სხი'.



ლაფის გუნდი, როგორც უკვე ვთქვით, შეჯიბრებიდან მოიხსნა. 21-22 მაისს თბილისში გაიმართა ამ ჩვენების კოლეჯთა პირველი შეხვედრები. თამაშობდნენ „მართვი“ (თბილისი) და „დინამო“ (თბილისი). ორივე შეხვედრა „მართვის“ კალათბურთელებმა მოიგეს — 87:76 (40:42) და 81:66 (38:32).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სინათლე' and 'თელავი'.

ამ ქვეჯგუფში ორ-ორი გამოუცხადებლობა ჰქონდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თელავისა და „სინათლეს“ კოლეჯებს და ოთხი გამოუცხადებლობა სოხუმს. ამიტომაც აღნიშნულ კოლეჯებს ქულები არ დაერიცხათ.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'მართვი' and 'სხი'.

მიზანთან ასვლა

მიზანდარბა ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატზე დაწესებული ოსტატის ნორმა — 8,5 ქულა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ წოდების მაძიებლები დიდი შეუპოვრობით იბრძვიან. მიზნის მიღწევის შესაძლებლობა ყველა მოქალაქეს აქვს, მაგრამ იმას, ვინც პრაქტიკულად განახორციელებს თავის ჩანაფიქრს, ბოლო ტურები გამოავლენს.

ოსტატის ნორმის შესრულების ყველაზე დიდი შესაძლებლობა აქვს თბილისელ ოსტატობის კანდიდატს თამაზ ტაბატაძეს, რომელმაც X ტურში ყოველი დაამთავრა პარტია ზუგდიდელ ოსტატობის კანდიდატ გოჩა თორიასთან და ახლა მას დარჩენილი 3 შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულის მოპოვება სჭირდება.

ოსტატის ნორმის შესრულების შესაძლებლობა ჰქონდა გივი გოგიჩაიშვილსაც, რომლის წინაშეც უფრო რთული ამოცანა იყო გადასაწყვეტი — მას ოთხივე პარტია უნდა მოეგო. მაგრამ X ტურში გოგიჩაიშვილი დამარცხდა საერთაშორისო დიდოსტატ გენადი ზაიჩიკთან და ოსტატის ნორმის შესრულების ყოველგვარი შანსი დაკარგა.

მეტოქეებმა ახალინდრის დაცვის ერთ-ერთი აქტიულონი ვარინატი გაითამაშეს. უკვე დღეობურ შედეგად იხილავთ თეთრები დაუფლენ. მათ შეძლეს ცენტრში ორი გადახვეული ბაიკის მიღება, რომელთა წინსვლითაც თანდათანობით შეავიწროვეს მეტოქის პოზიცია. გიორგიამ შეძლო ცენტრის გახსნაც და მიმე ფიგურებით მეტოქის შეფის ბანაკში შეიჭრა. სუპერ-ტაშვილი იძულებული გახდა ხარი-

სნი დეემო, მაგრამ მარტივად გადაიჭრა მათი კეტი მკანასხა და თავი დამარცხებულად სცნა.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ტყეშუჩავა-ფიფიოვი — 1:0, ხეცურიანი-ჩაჩიბაია — 1:0, ბალათუროვი-კიკიანი — 1:0.

ბუხუტი გურგენიძისა და ზურაბ მიქაძის პარტია გადატანილია. ამრიგად, 10 ტურის შემდეგ, 9,5 ქულით ერთობიროვნულად ლიდერობს გია გიორგიამ. მას 2 ქულით ჩამორჩება თამაზ ტაბატაძე.

შემდეგ მოდიან: გია ბალათუროვი — 6,5, ივარ ეფიშვილი — 6, გენადი ზაიჩიკი (ყველა—თბილისი), ბესიკ ხეცურიანი — 5-5, გივი გოგიჩაიშვილი, თამაზ კიკიანი (ორივე — თბილისი) — 4,5-4,5.

შეჯიბრების დამთავრებამდე რჩება 3 ტური. საქართველოს ჩემპიონის სახელის მოპოვების ყველაზე კარგი შესაძლებლობა აქვს გია გიორგიამ. მას 1 ქულის აღებაც ჰყოფნის, რათა მეორედ გახდეს რესპუბლიკის ჩემპიონი. რაც შეეხება იმას თუ ვინ მოპოვებს სსკკეშის ნახევარფინალური ტურნირის მეორე საფურსს, მასაც ბოლო ტურები გაარკვევს. ამის კარგი შესაძლებლობა აქვს თამაზ ტაბატაძეს, გია ბალათუროვს და ივარ ეფიშვილს.

440 მოქალაქის პონანოლოგით

იზგოსლავის ქ. პულაში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც 13 ქვეყნის: იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, ფრანსის, ინგლისის, პოლონდიის, ბულგარეთის, უნგრეთის, შვეიცარიის, ავსტრიის, იტალიის, პოლონეთისა და ინდონეზიის 440 (!) მოქალაქე მონაწილეობს, აქედან 18 დიდოსტატი. შეჯიბრება ტარდება შვეიცარული სისტემით, 11 ტურად. ფესტივალში საბჭოთა მოქალაქეების დიდი წარმატება ჩაერია, დიდოსტატებთან რაზუვავსა და კონიეთან ერთად თამაშობენ ქალებიც — ნანა ალექსანდრია, ელენა ახმილოვსკაია და სენდრანა მატვეევა.

ჯიუბი მოზარი

შტაბბარტი. ბოლო დროს იტალიელმა პროფესიონალმა ველოსიპედისტმა, 36 წლის ფრანჩესკო მონტემა რამოდენიმეჯერ სცადა ერთსაათიან რბოლაში ვიარესლავ ექვიმოვის (სსრ კავშირი) მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, მათ შორის ვერც მოსკოვში. ლენინგრადელი ველოსიპედისტის რეკორდი — 49,6720 კმ ურყევად იდგა.

და აი ამ დღეებში ჯიუბმა პროფესიონალმა საჭადრელს მინც მიაღწია. შტუტგარტის დაბურული ტრეკის 285 მეტრის საფარზე ერთსაათში მან 50,6446 კმ დაფარა და მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა. პანს-მარტინ-შლაიერის ტრეკზე ამ წარმატების შემდეგ მოზარმა განაცხადა, რომ სპორტს თავს ანებებდა.

სპორტპროგნოზი

21-22 მაისის შედეგები (21-22 მაისი) 1-1, 2-1, 3-1, 4-1, 5-2, 6-1, 7-X, 8-1, 9-X, 10-1, 11-2, 12-X, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წველის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ევროპის ჩემპიონატი იწყება

ინგლისის, ირლანდიის, პოლონდიისა და სსრ კავშირის გუნდები.

შეგახსენებთ ჩემპიონატის რეგლამენტს: ჩვეულებრივი ტურნირები 18 ივნისამდე გასტანს, 21 და 22 ივნისს შედგება ნახევარფინალური მატჩები, 21 ივნისს პამბურგში ერთმანეთს შეხვდებიან პირველი ჩვეულების გამარჯვებული და მეორე ჩვეულებრივი მე-2 ადგილზე გასული გუნდი, ხოლო 22 ივნისს შტუტგარტში ითამაშებენ მეორე ჩვეულების გამარჯვებული და პირველ ჩვეულებრივი მე-2 ადგილზე გასული გუნდი. ევროპის ახალი ჩემპიონი გამოვლინდება 25 ივნისს, მატჩი მესამე ადგილისთვის ვათვალისწინებული არაა.

გუმინ რედაქციაში მოვიდა საინფორმაციო ცნობები კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატის შესახებ.


უეფას ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე 8 გუნდიდან პირველ ეტაპზე თითოეული მათგანი მიიღებს გუნდს 2 მილიონ 992.500 მარკას, რაც დაახლოებით 1.893.000 დოლარს უდრის. ნახევარფინალში გასვლისთვის საპროგნოზო თანხა 3 მილიონ 292.500 მარკამდე იზრდება, ხოლო ფინალურ მატჩში მონაწილეობისთვის განსაზღვრულია 3 მილიონ 652.500 მარკა.

ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩს 10 ივნისს იმსახვებს ინგლისელი არბიტრი კ. ჰეკეტი.

საბჭოთა ნაკრებს პირველი შეხვედრა ჩვეულებრივი 12 ივნისს ექნება პოლონდიის გუნდთან. მატჩის არბიტრია დისაველთეგრმანელი დ. პაული. 15 ივნისს საბჭოთა ფეხბურთელთა მეტოქეა ირლანდიის გუნდი, არბიტრია ესპანელი ე. სორიანი ალარენი. 18 ივნისის მატჩს —სსრ კავშირი-ინგლისი—მსაჯობს პორტუგალიელი ე. როსა დელუ სანტუში.

ნახევარფინალურ მატჩებს იმსახვებენ რუმინელი ი. იგნა და ბელგიელი ა. პონე.

გადამწყვეტი, ფინალური მატჩის არბიტრი დადგინდება უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობის დროს.



გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'ინტერი' and 'სპეციალი'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სპეციალი' and 'სპორტული'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'ვერდერი' and 'ბაიერნი'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'ინგლისი' and 'გამოტოვებული მატჩი'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'შვეიცარია' and 'ფინალური ტურნირის მე-12 ტური'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'უოტლანდია' and 'გათამაშების საბოლოო ცხრილი'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'ჩანოსლოვაკია' and '24-ე ტური'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სპარტაკი' and 'ბანიკი'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სპანეთი' and '37-ე ტური'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'რეალი' and 'სან სებასტიანო'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'საზრანავატი' and '35-ე ტური'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'მონაკო' and 'ბორდო'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'იზგოსლავი' and '30-ე ტური'.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 'სპორტპროგნოზი' and '21-ე ტური'.

ჩემპიონატის მონაწილეები: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩემპიონატის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამედიცინო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, მერანი — 93-97-28, მართვი — 93-97-27.

ჩემპიონატის ტელეფონები: 83950, 05დამსი, 68435.

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა ხაზმა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იმელება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოსარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05352